

# ცნობის უპირცედი

## სურათებიანი ლამაჯება

\* \* \*

ხშირად შექვევა შუა ფიქრები,  
სულ-გულს მიქეზნის, ღარ მასხერებს,  
ხან ტან მამაწუქტს, ხან ღელამაწას,  
სხვა-ღსხვა საკათის თვალ წინ მიუქნებს:

რა არის ნეტო ადამიანი,  
ან ცხოვრებაში რა აქვს მის აზრად?  
რისთვისდა ებრძვის ერთა-მოკრეს,  
ან მომავალში რას ელის ნაცვლად?

და ვუვლა ამის პასუხად შოხოდოდ  
თვალ-წინ მადგება ცოცხა სმარე,  
სიღ განურჩევლად ჩადის სუვეკლა:  
მეფე, პატონი, მონა მწესნაე.

და გულში ვამზობ: რადგან ასეა,  
ვევლას ერთგვართა ჩვეუნიჭეს სოფლაე,  
რატომ არ ვზრუნავთ კეთლ საქმისთვის,  
სახელი მათც დატკნეს უგდაეა?!

გ. რუხაძე.

### მეჩქემი გავო

ღამის ათ საათზე მივქეძე გავო და მღებავი ანტონა კი-  
ბეზე ადიოდნენ. ზვიდან სიცილია, ლაპარაკისა და სიმღერ-  
ისი ხმა მოისმოდა. პიანინოზედა უკრავდნენ და ცეკვავდნენ.

წინ ხენებითა და გაქირებებით დაბალი, მომრგვალო, ჩა-  
სუქებული და ბუთის მაგვიარი გავო მიდიდა. უკან კი მა-  
ლალი, გამხმარი, წვლიზი მოხრილი, წვრილ-კისრია, პატარა  
და წოწოლა-თავიანი და ყურებამდე პალტოში ჩამჭვრალი  
ანტონა მისდევდა. კარებთან რომ მივიდნენ, ჩვეულებისამებრ

შეჩერდნენ და ჩუმად, ქურღულად ზალაში ცქერა დაიწყეს.  
იქ კი ქალები მუშტარის მოლოდინში იყვნენ: ზოგი დადიო-  
და, ზოგი მდგროდა, ზოგი ვაპირის აბოლებდა, ზოგიც ცეკ-  
ვავდნენ და ზოგნიც ქაღალდს თამაშობდნენ. კარებშიაც ხუ-  
თიოდ კაცი იდგა. ცოტა ხნის შემდეგ ერთმა მათგანმა მო-  
იხედა და გავო რომ დაინახა, იქით მიდგა და წაიჩურჩულა:

— პაპაში მოვიდა.

— პაპაშის ვაჟმარჯოს! პაპაშის გზა!.. პაპაშის გზა მიე-  
ციოთ!—გაისმა აქედ-იქიდან და გავოსა და მის ახანაგს მამი-  
წეგ გზა მისცეს.

გავო ღონიჯ შემოყრილი იდგა, ზალაში იყურებოდა,  
ქშინავდა, ხენქოდა და ისვენებდა. უკან მდგომი ანტონა კი  
ცხვირისა და თვალის იწმენდავდა და თან წელის ხმით ახე-  
ლებდა.

ქალები გავოს პაპაშის ვახხდნენ, ანტონას კი—ქიაყელის.  
პაპაში და ქიაყელა ზალაში შევიდნენ.

ორივენი შინაურები იყვნენ. ორივენი იმავე სახლის ქვე-  
მო სართულში ცხოვრობდნენ და ყოველ საღამოს ზეგითა  
სართულში ატარებდნენ.

ზალაში მამიწვე ერთი ალიაკოთი, აურზაური და ჩონ-  
ქოლი ატყდა: პიანინო ვარჯუდა, მომღერალი ხმა ვაკინდლს  
და მოცეკვავნიც იშვებდნენ. აქედ იქიდან ქალები სიცილით,  
ყვირილით, წივილი-კივილით და ხტუნაობით წამოცეკ-  
ვდნენ და შუა ზალაში ღონიჯ-შემოყრილს, მოდიმარესა და  
სახე-გარსწინებულ პაპაშას საწინიერ ხმაურობით გარს შე-  
მოხეობდნენ.

— პაპაში მოვიდა, პაპაში, პაპაში!—ყვიროდნენ ყველ-  
ნი და პაპაშის ეცნენ. ქალები ერთმანეთს მუკლუგუნებსა  
სტემდნენ და წინ იწვიდნენ.

ყველა მათგანი პაპაშის უბესა და ჯიბეში ხელის ჩაყ-  
ფის ცდილობდა. თავ-ჩაღუნული პაპაში კი ხიზიხიზითა და ოფ-  
ლის წმენდით დარტყანიებულინაგვით ერთ ადგილის ტრია-  
ლებდა, ჯიბეებს იცავდა, ხელს იქნევდა და მეტის სიცი-  
ლისგან ჩაწყენილილის ხმით ხან-გამოშვებით ხრიალებდა და  
ყვიროდა:

— დამაცადეთ, გვირტებოჯან... დამაცადეთ... თქვენი  
ქირიმე, თქვენ გენაცვალეთ, ჭუკებოჯან, ჭუკულებო... წი-  
წილებო...

მეგრამ პაპაშის გვირტები, ჭუკები და წიწილები მაინც  
თავისას არ იშლიდნენ. ზოგმა ლუტუნიც დაუწყო. თითქმის  
გულწასული პაპაში კი იხევებოდა, იმუდარებოდა:

— თქვენი ქირიმე, ჭუკებოჯან... თქვენ გენაცვალეთ,  
წიწილებო... გვირტებო... დამაცადეთ, სულ თქვენია...  
სულ თქვენც დაგიყრიოთ, სულიკობო... განი, განი, თქვენი ქი-  
რიმე, განი!

ცოტა ხნის შემდეგ ჭუკებმა, გვირტებმა და წიწილებმა  
სიცილითა და ხტუნაობით პაპაშს წრე შემოაოგეს, მის გარ-  
შეში ფეხხული ჩაბეს და ყოველ მის მოძრაობას გაფაცო-  
ცებით თვალ ყურის აღევტენდნენ.

ჭუკები და წიწილები ნაკმახს ელოდნენ.  
პაპაშამ ჯერ ოღლი მოიწმინდა, მერე ერთხელ კიდევ  
გულიანად ჩაიხიზიხიზა, შემდეგ ორივე ხელი ჯიბეებთან  
კამფეტი ამოიღო და ერთი მუკა თავის ჭუკებს მიუყარა.

— ჭუკა, ჭუკა, ჭუკა!—ხიზიხიზით და პაპაში და თან  
ქრულ ხელსახოცი ცრემლებსა და ოფლს იწმენდავდა.

ჭუკები კი წივილ-კივილითა და ქრიახულით კამფეტებს  
ეცნენ. ერთმანეთს აწყდებოდნენ, ხელსა ჰკრავდნენ, ერთ-  
მანეთს კამფეტებს სტაცებდნენ და თანაც უხედა ილანძღ-  
ვობდნენ.

კარებში მდგომი მაყურებლები და ეკლესიისთან ჩამწკრი-  
ვებული სტუმრები გულიანად ხარხარებდნენ.

კუთხეში აბუზული, მოღრუბული და მოქუშული ჰია-  
ყელა კი ვეჯოფერის გულგრილობა უყურებდა და იქვე მჯდომ  
მივარღსა და ნაცნობ მეეტყეს ხანგამოშვებით ეუბნებოდა:

— ზოგჯერ თითო შემოსვლა თუბანი უჯდება.

ან კიდევ:

— რა ქნას, ცოლშვილზე ძლიან უყვარს.

— ჯუ-ჯუ, ჯუ-ჯუ, ჯუ-ჯუ!—კისკისებდა ამ დროს პა-  
პაში და კამფეტებს ორივე ხელით ისროდა.

პაპაშის ქათმები კი მუხლის თავებზე დაცოცავდნენ, იქ-  
ცივდნენ, დგებოდნენ, ისევ იტყოდნენ, ისევ დგებოდნენ და  
აკრფვლ კამფეტებს ჯიბესა და უბეში იყრიდნენ.

— წია, წია, წია! წია, წია, წია!—იხრჩობოდა სიცილი-  
საგან ღონე მიხილი პაპაში და ორივე ხელით ცრემლებს  
იწმენდავდა. წიწილებისა, ჭუკებისა და ქათმების სიცილ-ყვი-  
რილი, წივილი-კივილი და ქრიახული პაპაშის ხიზიხიზითა  
და მაყურებლების ხარხარს ახშობდა.

ნაკმახის დაყრა რომ ვაივავდა, წიწილები და ჭუკები  
აქეთ-იქით დაიქსაქსნენ, თანაც კამფეტებით ილუკებოდნენ.  
პაპაში კი იქვე სკამზე ჩამოჯდა, თავისთვის-ღა იკინოდა, ისევ  
ოფლს იწმენდავდა, ხენქოდა და ისვენებდა. ერთი წიწილი,



განცხრომა.—სურათი იულ. ჯღამისა.

ერთი გვრიტი და ერთი ქუცია პაპაშას ისევ გარსემო უვლიდნენ, ჩიონდენ და უბეგბესა და ჯიბეებს უჩხრეკავდნენ.

— მე აქ არ ვიყავი, დავიგვიანე და არაფერი არ მერგო, — შესიგლია წიწილამ და მუღლზე დაუჯდა.

— არც მე მერგო. სტუპანკა არ გამომიშვა, — იცრმულეზოდა გვრიტი და მეორე მუღლზე დაუჯდა.

— რაც ავკრიფე, სხვებმა წამართვეს, — იწირბლებოდა ქუცია და ყელზე ჩამოეკიდა.

— კამფეტი გვინდა, — შეხევეწნენ სამივენი.

— არა მაქვს, გვრიტოჯან, არა მაქვს, წიწილაჯან, ილარა მაქვს, არა! აი, ვათავდა! — და პაპაშამ ჯიბეები ამოიბრუნა. სამივენი გაიბუტნენ და ტირილი დააბირეს.

შეწუხებულმა პაპაშამ ილიის ქვეშ მიმაღულ ჯიბიდან სამი აბაზიანი ამოიღო და ჩუმად ყველას თითო-თითო ჩაუღო ხელში.

ქუციამ, გვრიტმა და წიწილამ დამწვიდებული პაპაშა თითოჯერ ვადაპოკნეს და გაფარდნენ.

სიცილით ვამბობარმა, დალილომა, უზომოდ მკაცრიდღმა, ბენდირმა და დონჯ-შემოყრილმა პაპაშამ თავის წიწილებს აუარ-ჩაუარა, ზოგს დაბაბზე უჩქიბია, ზოგს ლოყაზე ხელი მუღსედა და ზოგსაც შეტლში აკაცა.

პაპაშა რუსისა და სხვა ტომის ქალებს ძალიან არ სწყყარობდა და ცოცა ცერად უუტრებდა; მაგრამ თუ ვინმე „შენი კირიმე“-ს მავიერად „შენი ჩირიმე“-სა და „ბაყაყი“-ს მავიერად „ბაყაყი“-ს თქმას მოახერხებდა, მისი საქმე კარგად იყო: ის უკვე ქართველად ირიცხებოდა და, მამსადამე, პაპაშას აღერსსა და კამფეტებშიაც წილი ჰქონდა. ეხლა ქაპაშამ ქენისა რამდენჯერმე „ბაყაყი“ გაამეორებინა, ქების ნიშნად თავზე ხელი გადაუსვა, საშას ყანყარტოში უჩქიბია და ვერას „Надъну черное платье“ ამღორნა.

მერე მეორე ოთახში გვიდა.

კარები ღია იყო და იქიდან მთელი ზალა ჩანდა. იქ ტახტზე მოკეცილი იჯდა გულ-ხელ-დაკრფილი და ჩინურ კერასიანი გაშტერებული, გვრიტებისა და წიწილების პატარანი, რომელსაც პაპაშა იღებდა ხანუშას ეჭადა.

ხანუშას ქართულად ეცემა, თავზე ლეჩქა ეხურა, პირსახეზე ფერ-უმარლიო სქლად ჰქონდა შევლესილი; შეხედულეზობით კი ამაყი, დინჯი, მობისინე და გაბღენძილი იყო.

— ბონ ქურ, მადამ! ახშამ ხიჯი, ხანუგიჯან! — შესვლისთანავე მიიბაძა პაპაშამ და გვერდით მოუჯდა.

ხანუშამ ხმა არ გასცა, ზედაც არ შეხებდა.

პაპაშა ამას მიხეულო იყო, არ ეწყინა, გადახეცია, აკოცა, მერე ტახტზე წამოწევა, თავი მუხლებზე დაუღო, თვალეზი მიღულა და ისვენებდა.

— ჰა, ხანუში, ვაგაჯავგის, ვინა!

ხანუშამ არც ეხლა გასცა ხმა, მხოლოდ მცირე სიწუხის შემდეგ გულგრილად ჰკითხა:

— რა მომიტანე?

— ქიაცელი! — დაიკრილა პაპაშამ.

ქიაცელა მაშინვე კარებში აიტრუხა.

— მოართვი!

ქიაცელამ პაპაშას ქვეშედან ქაღალდში გახეული ნივთი გამოიღო, მოკრძალებითა და მოწიწებით ხანუშას წინ მაგიდაზე დასდო და ისევ მთვრალ მგეტლეს დაუბრუნდა.

— პოლსაპოშევი და ერთი კარგი ლეჩაქი, — აუხსნა პაპაშამ და ხანმოკლე სიწუხის შემდეგ დაუმატა:

— პოლსაპოშევი მე თვითონ შევკერიე.

მერე ღლინით წამოღდა, ზალაში გაიარ-გამოიარა, და გვიანებულ გვრიტებს კიდევ სამიღვე აბაზი აჩუქა, ერთ ახლად შემოსულ რუსის ქალს ხუთიღვეჯერ სიტყვა „ბაყაყი“ გაამეორებინა და თუმცა რუსი ბაყაყის მავიერად სულ „ბაყაყს“ ამბობდა, მაგრამ მაინც იმასაც ერთი აბაზი აჩუქა და სამზარეულოში გვიდა. იქ ეახშამი, ლუდი, ღვინო და ხილი შეუყვება. ისევ ხანუშასთან დაბრუნდა და ტახტზე წამოგორდა. ხანგრძლივი სიწუხე ჩამოვარდა. გაშტერებული ხანუშა ზალას თვალს არ აშორებდა. იქ კი ქალები ისევ დასეირნობდნენ, ისევ ქაღალდს თამაშობდნენ, კარებში მღვამ მაცურებდნენ ელაპარაკებოდნენ, უგულვად, ძალდატანებით მღეროდნენ და გულანად სთვლემდნენ. ქიაცელი ისევ იქ მჯდომ მგეტლეს ელაპარაკებოდა და როგორც ვტყობოდა, არიგებდა. თავ-ჩაქრბრული მგეტლე კი ბარბაცებდა, სთვლემდა და სკამიდან გადმოვარდნას ამბობდა.

პაპაშაც სთვლემდა.

მოწყენილობა ორმა ახლად შემოსულმა მთვრალმა სილდობამ დაარღო: ვერილი და ლანძღვა დაიწყეს, ქალებს უღერად და გაუზრდელად ეცეკოდნენ, უმერე სიტყვებით ლანძღავდნენ და ცემას ემუქრებოდნენ. მათ დასამწვიდებლად ქიაცელა მივიდა და დარკება დაუწყა, მაგრამ სალდათებმა ხან-მოკლე, შტატების შემდეგ ქიაცელა ქვეშ ამოიღეს და ზევიდან დახსდნენ. ქიაცელას პაპაშა და ორი მსახური მიე-



შეღწენ, საღდათები კინწის კვრით კარგამდის გააკლეს, იქიდან კი რახარუხით კინზევ ჩაუშვეს და დაბრუნდნენ. პაპაშა ისევ თავის ალავას მიწვა და თვლივმა დაიწყო. გარედან ცოტა ხანს გაჯავრებულ საღდათების ყვირილი და მუქარა ისმოდა, მაგრამ მალე წაივინდნენ და ზოლში ჩვეულებრივად სიწყარად დამყარდა. სტუმრების ნაკლებად მოდიოდნენ. ქალები ისევ სთვლენდნენ და სტუმრებს ელოდნენ. უკაცუ-ლემ სკამიდან გადმოვარდნილი ნაცრობი მვეტლე გარედ გაიყვანა, ისევ უკან დაბრუნდა და კუთხეში მოიკურტა.

— გაბო!—ხანგრძლივ სიჩუმის შემდეგ ჩუმად დაუძახა ხანუშამ.

— ჯან!  
— ჩვენი საქმე როგორ არის?

პაპაშა მკვირცხლად წამოვიდა და თვალები მოიფშვინა.

— უნდა გავთავოთ, თორემ ძალიან დაღვიანდა.

პაპაშამ ახალხისი ღიღებს წველება დაუწყო.

— უნდა გავთავოთ!— განიძვრა ხანუშამ.

პაპაშა ატყდა, ტახტზე გასწორდა, შეიშმუნა, შერცხვა და დაიბნა.

— გავთავებთ... ხანუშა... გავთავებთ, მამა!— წაილულულა და ჯიბიდან კრელი ხელსახოცი ძლივ ამოიღო.

— როდისღა?— გულგრილად ჰკითხა ხანუშამ.

პაპაშა ოფლის იწმენდა... შეშინდა, ენა დაემა და აირია.

— როცა გინდა... მალე... მალე გავითავებ. დამაცა... დამაცადე... ლულულულებდა პაპაშა და სულ ოფლის იწმენდა.

ხანუშას სიტყვები პაპაშას თავზე მიხვით დაატყდა: გზურა, გაუკვირდა, შეშინდა, ეწყინა და გულზე რაღამაც უჭამიტა, და ის ადგილი, სადაც ჩქმეტა იგრძნო, ეტყინა და დაუწყო.

იმავე ადგილს დიღხანს გაუნძრევლად იჯდა და იატაკზე ერთ წერტილს ნაკლებით და უზაროდ უყურებდა.

პაპაშა დაფიქრა, ძალიან დაფიქრა!

ერთ წუთს ხანუშასი და თავის წარსული თვალწინ გადაეფიქრა:

თორმეტი წლის წინათ ხანუშას საზოგადო სახლში შეხვდა, შეიყვარა, იქიდან გამოიყვანა და თუმცა ახლოდ ჯვარდაწერილი იყო და ორი პატარა ვაჟიც ჰყვანდა, მაგრამ ამას ყურადღება არ მიუქცია, ხანუშა შინ მოიყვანა და დასახლა თავის ოთახის გვერდით. სწორედ იმ ოთახში, საიდანაც ხანუშა თორმეტი წლის განმავლობაში თავის ქალებს თვალყურს ადევნებდა. ამის გამო პაპაშას ცოლმა უკმაყოფილების გამოცხადება სცადა. მაგრამ პაპაშამ სიტყვეც აღარ დაამთავრებინა და იმასაც მას შემდეგ ხანუშაზე აღარა უთქვამს რა, კინორიც აღარ დაუტყავს.

პაპაშა მამაშინ შეძლებულ კაცად ითვლებოდა: წინად თვითონ იმ ოთახებში ცხოვრობდა, სადაც შემდეგ მისმა გვრიტებმა და წიწილებმა დაიბუღეს; ქვემო ოთახში კი სახელოსნო ჰქონდა გამართული და თხუთმეტობოდ ხელისას ამუშავებდა. ამის გარდა ორივე სართულში ექსპლუატორ ოთახსაც აქორავებდა.

რამდენიმე თვის შემდეგ თვითონ ქვემო სართულში დასვა და მდგურებშიც დაითხოვა; მერე ვალი აიღო, ხანუშას ჯერ ხუთიოდე ძალი უქოვა, მერე თორმეტიც გაუხადა და ყველაწი ზეგთა საართულში დასახლა.

თორმეტი წლის განმავლობაში ქირას არ აბრძობებდა და ავიდაც რომ ყოფილიყო, ყოველ დამეს მინც ზეგთა ატარებდა. თავის ქუეგთთან ისე არ ავიდოდა, რომ რამდენიმე გირვანქა ტუბილეულობა და თავის ხელით შეკერილი ერთი წყვილი ფესსაცმელი მინც არ ატანა. შინ კი ცოლი ყოველთვის ავად ჰყვანდა, ოჯახში ბევრი რამ აკლდა, შეიღებოც უსწავლელები დარჩნენ და სახელოსნოში თხუთმეტის მაგივრად ხუთი კაციღა მუშაობდა. პაპაშას ხანუშასი ემართა, ბევრი ემართა. არ იცოდა კი რამდენი, რადგან არა სთვლიდა მაგრამ ის კი იცოდა, რომ ბევრი ემართა. თვისა და თვის ბოლოზე ხანუშას თამასკებზე ხელს უწერდა და ეს ხელის-მოწერა თითქო უწებლივ, ხუმრობითა და გულუბრყვილობით მოსდიოდა, რადგან ამ ხელის მოწერას პაპაშას ფიქრით არავითარი მნიშვნელობა არ ჰქონდა; არც იმას აქცევდა ყურადღებას, რომ ხანუშა ერთ ბოლოდ ლულსაც ათ შუარად უთვლიდა, ამაზიან ღვინოსაც შუართან ვაშლსაცა და ორ შუართან პაპიროსსაც. ყველა ეს პაპაშას არ მოჰგონებოდა, ამისთვის არავითარი ყურადღება არ მიუტყვევია და მხოლოდ ორი დღის წინად ცოტა ხნით, ხუთიოდე წუთით დაფიქრა, ისიც იმიტომ, რომ ხანუშამ მოაგონა და ანგარიშის გასწორება მოსთხოვა.



ბუბაის გოგონა. —ქანდაკება ღანტისა.

— თუ კვირამდე მოიტანე, ხომ კარგი, და თუ არა, მეტი გზა არ არის, უნდა გიიფილო, —დამშვიდებით, მაგრამ გადწყვეტით უთხრა ხანუშამ და ძლივ წამოვიდა. — რომ დავი-მალო, არც ეტყვიარც, —დაუმტა მან და ზოლში გვიდა.

ეხლა კი პაპაშა დაღონდა, ძალიან დაღონდა! ფულის შოვნაზე არაფერს არ ფიქრობდა, ისიც არ იცოდა თუ რამდენი ემართა; ამას პაპაშა არაფერად არ სთვლიდა, არავითარ ყურადღებას არ აქცევდა და იმედით ჰქონდა, რომ ეს საქმე თავის თავად გათავადებოდა, მაგრამ მინც სწულდა, საშინლად სწულდა! არც წუთხლის მიზეზი იცოდა, მაგრამ გრძნობა

და, რომ დღეიდან ამ სახლში ის დასვენებულ შინაური აღარ იყო; გრძობდა, რომ იმის ყოველდღიურ ჩუქვი-ჭუქვი-სა და ჩუ-ჩუ ჯუ-ჯუ-ს ძახილს, მის გულწრფელ ხითხიასა და ხალაში თავისუფლად სიერობას რაღაც მულოდნელი, უცნაური და უხილავი ძალა ხელს შეუშლის, შეიწერებს და ფრთხილად შეაკეცავს; გრძობდა, რომ დღეის იქით იმის წიწი-ლები, გვრიტები და ქუქები მის მოსვლას სიცილ-ხარზაჩითა და ხტუნაობით აღარ მიეგებებიან, მუხლებზე აღარ დაასხდებიან, ყელზე აღარ ჩამოიკიდებიან და ცრემლების წმენდით აღარ შესჩივლებენ:

— პაპაშა, კამფტი მინდა... მე დევიგვიანე... მე აქწარ ვიყავი...

გრძობდა, რომ თორმეტი წლის ნაშრომი, დიდის ხნისა და დიდის წვალებით აშენებულიაბუღე გაიზარა, გასკდა და დღეს თუ ხვალ დაიშლება და ჩამოიფუშება; გრძობდა, რომ ყოველდღიურ დასასვენებელ ალაგს ართმევენ, დიდი-ხნის ჯდომით გამთბარ სკამიდან აგდებენ და იმ,მდორე, წმინ-და და თბილ წყალში, რომელშიაც აქამდის პაპაშა დატურავ-

და, ვიღამაც ცივი წყალი მიუმტარა, გააცია, შიგ კენკვი ჩა-უგლო და აუშლვრა.

პაპაშა დაღონდა! პაპაშას ოჯახი ექცეოდა!

მ. ჯაბაშვილი.

(დახსრული იუნგა)



— ნუ თუ შენ ამისთანა უზნო ზღვის სანახავდ იყავი, სირცხვილი არ არის?  
 — რად არის სირცხვილი? განა შენც იქ არ იყავი?  
 — მე? ჩემი საქმე სულ სხვაა: მე უფასო ბაღუთა ქონდა.

ახლგაზად კეპიან, ქლიესწარ ველირსე ურთა! ავადმყოფის მოსე-ღას. სისარულით უხლავე შემოგუხეოდი კისურზე; შაკამ უნდა მოვადკეინთ: არ იფიქროს, რომ მე ავადმყოფე-ბის უნახავი ვარ.



ნავთურის გზა ტფილისში წვიმის შემდეგ.

რეკ. O. H. შარინი